

**გულთან დაკავშირებული გამოთქმები
არაბულსა და ქართულში
HEART-RELATED EXPRESSIONS
IN ARABIC AND GEORGIAN**

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Lela Avaliani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

In general, metaphors allow us to grasp the invisible world. Metaphoricality, in its turn, clearly manifests itself in somatic phraseology. Metaphors basically employ body parts, and organs, such as a heart, an eye, a hand, bile, and so on. Phraseological expressions are primarily studied in regard to these concepts since they are the phraseologizing words and the semantic dominants. We have studied one of the most common word-concepts - "heart" - in Arabic, further comparing it with the Georgian data.

Among positive emotions, love, joy, satisfaction, approval, kindness, sympathy, consolation, etc. are associated with a heart. As for negative emotions, heart-related ones include grief, fear, sadness, frustration, rage, revenge, and hatred. The following intellectual processes are also associated with a heart: thinking, intuition, convictions, inspiration, memorization, diligence, and even physiological phenomena, such as hunger, growth as well as moral issues.

The content of the somatic idioms is similar in many languages. These idioms found in Georgian and Arabic represent patterns formed in certain ways; however, they once again demonstrate that there are universal human feelings described by every distinct culture from their own perspective and these feelings are often compatible with those attested in completely different and unique cultures.

The analysis of idioms reveals that universal phraseologisms are often used in order to express grief or joy. Their existence can be explained by the causality of thought; in different languages, they may develop independently or occur as calques. We can infer that in both languages deep human feelings and experiences are primarily heart-related.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლექსიკა, არაბული ლექსიკა, ფრაზეოლოგიური გამოთქმები.

Keywords: Georgian vocabulary, Arabic vocabulary, phraseological expressions.

გული საოცარი ორგანოა. მის მუშაობაზე აისახება ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესი, იგი პასუხობს ადამიანის ცხოვრების თითოეულ მოვლენას, ავსა თუ კარგს.

გულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც არაბულ, ისე ქართულ მსოფლალქმაში. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს: „გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად. ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს – სიცოცხლის მატარებელი გულია“ (ჩიქობავა 1938: 66).

ხატოვან სიტყვა-თქმებზე დაკვირვების საფუძველზე თ. სახოკია აღნიშნავს: „გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს ყველა ფსიქიკური განცდა: სიყვარული, სიხარული, სიმამაცე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნაღველი“ (სახოკია 1979: 119).

გულით დააქვს ადამიანს შეგრძნებები, განცდები, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ემოციები, რაც გამოსჭვივის კიდეც იმ სიტყვებსა თუ ფრაზებში, რომლებსაც კონკრეტული სოციალური ქმნის. ნებისმიერი ენის იდიომებში თავმოყრილია ერის წეს-ჩვეულებების, თვისებების, ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენებისა და ისტორიის ამსახველი ცოცხალი და ნათელი სურათები.

ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიაში უძველეს პლასტს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატური ნომინაციებით.

საანალიზოდ სხვადასხვა ლექსიკონიდან ავიღეთ გულთან დაკავშირებული გამოთქმები, რომლებიც დადებით და უარყოფით ემოციებს (სიხარული, სიყვარული, გულწრფელობა, სიმამაცე, მონატრება, სისასტიკე, ორპირობა, შიში, დარდი, იმედგაცრუება...) უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ ისინი უამრავია. სტატიაში არ ვსაუბრობთ მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ ფორმებზე. საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ მხოლოდ ნაწილი. გულთან დაკავშირებული ემოციების გამოხატვის სრული სურათის წარმოსაჩენად შემდგომი კვლევაა საჭირო.

სიხარული: قلبو مرتاح (სირ. / ლიბან.) / قلبه ارتاح (ეგვიპტ.) „მის გულს უხარია“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>) შდრ. ქართ.: „გულზე ვარდის გადაფენა“, „გული გაეხსნა“, „გული გახარებული აქვს“, „გული აუბგერდა“, „გული აუტოკა“, „გულის ამღერება“... გულახდილობა, გულდიაობა, გულწრფელობა: بقلب صاف / بقلب سليم / بكل قلبه / من سليم القلب. „წრფელი გულით“, „მთელი სულითა და გულით“ (Баранов 1989: 371; Фавзи... 1989: 433; Борисов 2004: 910). არაბი გულდიაობის გამოსახატავად ამბობს: „გული გადაუშალა“, „გული გაუხსნა“ (Баранов 1989: 654), حدثه حديث القلب إلى القلب / سكب قلبه / بقلب مفتوح / فتح قلبه لشخص. „გულის გადშლა“, „გულისნადების გამხელა“ (იქვე: 363). შდრ. ქართ.: „გული გადაუშალა“, „გული გაუღო“.

სიმაძაგე, უშიშრობა: مسك قلبه في يده „სიმაძაგით აივსო“ (სიტყვასიტყვით: „გული ხელში დაიჭირა“. Баранов 1989: 654). შდრ. ქართ.: „თავი ხელში აიყვანა“ (ქართულში „გულის“ ნაცვლად გვაქვს „თავი“. გვხვდება აგრეთვე გამოთქმა: „გული გაიმაგრა“. მამაც ადამიანზე არაბები ამბობენ: قلبه حديد „რკინის გული აქვსო“ (Шаба 240). აღნიშნულ ფრაზაში სიმაძაგე გამოხატულია გულის რკინასთან გაიგივებით. შდრ. ქართ.: „დიდი გული აქვს“, „გულმაგარია“.

სიკეთე: قدم لشخص قلبه ويده „გულსა და ხელს უწვდის“ (Борисов 2004: 911). შდრ. ქართ. „ხელი გაუწოდა“. ქართულ გამოთქმაში მხოლოდ ხელი ფიგურირებს. „გულკეთილის“ მნიშვნელობით არაბულში გვხვდება გამოთქმა: أبهى القلب „კეთილი“ (სიტყვასიტყვით: „თეთრი გულის“). ანტონიმური მნიშვნელობით დასტურდება გამოთქმა: أسود القلب „ბოროტი“, ბოროტის მსურველი“ (სიტყვასიტყვით: „შავი გულის“. Баранов 1989: 654). كبير القلب „გულუხვი“ (სიტყვასიტყვით: „დიდი გულის“) (Mousa 2014: 442). შდრ. ქართ.: „გულალაღი“, „გულკეთილი“.

თანაგრძნობა قلباً وقالياً „სულითა და სხეულით!“ (Баранов 1989: 654). ეს გამოთქმა თანაგრძნობის გამომხატველი ფორმულაა. ქართულში თანაგრძნობის, გვერდში დგომის გამოსახატად ვამბობთ: „სულით და გულით შენ გვერდით ვარ“.

სიყვარული: متألفت قلوبه „მათი გულები უნისონში ძგერდნენ“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>). უზომო სიყვარულს გამოხატავს ეს გამოთქმები: انفطر قلبه / روحه عليه „გული / სული უკვდება მის გამო“; سكن في قلبي/روحي „ჩემს გულში/სულში სახლობს“; كتبت اسمه في قلبي /روحي „მისი სახელი გულში /სულში ჩავიწერე“ ამ გამოთქმებში „გულსა“ და „სულს“ იდენტური მნიშვნელობა აქვს. خفق قلبه له „უყვარს“ (სიტყვასიტყვით: „გული მისთვის [უ]ძგერს“) (Мвер 2014: 84; Mousa 2014: 442). საყვარელ, ძვირფას არსებას მიემართება გამოთქმები: حبة القلب „საყვარელი, ძვირფასი“ (Mousa 2014: 442), وردة القلب „გულის ვარდი“, القلب „გულის დედოფალი“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>). შეყვარება: غزا قلبها /روحها „მისი გული / სული დაიპყრო“. აღნიშნულ გამოთქმაშიც „სული“ და „გული“ სინონიმური მნიშვნელობით გვხვდება (Баранов 1989: 563; Мвер 2014: 84), შდრ. ქართ.: „გულის გაერთება“, „გულზე ხატად ასვენია“, „გული შეუვარდა ვინმეზე“, „გულში ჩახატვა“, „გულის დარდი“, „გულში ვიღაცის ჯდომა“.

რაიმე გრძნობის განცდა (სიხარული, ტანჯვა, მწუხარება): احتز قلبه إلى „ადელვებული“, „შერყეული“ (Баранов 1989: 853). შდრ. ქართ.: „გულის ატოკება“, „გულის აძგერება“, „გულის აჩქროლება“.

სულის ჩამდგმელი, ორგანიზატორი: الروح والقلب (لشيء/لمن) „სული და გული“ (ვისიმე, რისიმე; ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>).

დამშვიდება, დაცხრომა, დაოკება: ارتاح قلبه „მისმა გულმა მოისვენა“ შდრ. ქართ.: „გულის დაცხრომა“, „გულის განელება“, „გულიდან დარდის

/ჯავრის გადაყრა“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>

უნებისყოფობა: ضعيف القلب „სუსტი ნებისყოფის მქონე“, „უძლური“ (სიტყვასიტყვით: „სუსტი გულის მქონე“. Баранов 1989: 654).

სისასტიკე, შეუბრალებლობა: قاسى القلب „სასტიკი“, „უმოწყალო“, „ულმობელი“ (სიტყვასიტყვით: „უხეში გულის მქონე“); قلب غلف „მკაცრი“, „ულმობელი“, „სასტიკი“. სიტყვასიტყვით: „დაუცვეთელი გული“ (Баранов 1989: 569); قلب غلف არაბულად ნიშნავს „დაუცვეთელს“. შდრ.: „ამისთვის ამათ იტყვის ადონაი უფალი: ყოველი ძე უცხო ნათესავი, წინადაუცვეთელი გულითა და წინადაუცვეთელი ხორცითა, არა შევიდეს წმიდათა მიმართ ჩემთა“ (მცხ. ბიბლ. იეზ., 34,9); غليظ القلب/جامد القلب „სასტიკი“ (Mousa 2014: 442,443); لا قلب له „უგულო“ (Борисов 2004: 910). შეუბრალებელ, უგულო, სასტიკ ადამიანს არაბები ეუბნებიან: أنت قلبك زي الحديد „შენ რკინის გული გაქვს“ ან أنت قلبك قاسي „შენ სასტიკი გული გაქვს“ (Кухарева 2005: 135), არაბები გულქვა, შეუბრალებელ, უმოწყალო ადამიანზე აგრეთვე ამბობენ: ميت القلب „გულქვა“, „უგულო“ (სიტყვასიტყვით: „მკვდარი გულის“) (Mousa 2014: 443); قلبه من حجر / قلب متحجر „გული გაუქვავდა“; استحجر قلبه / تحجر القلب (იქვე: 443-444), القلب وحشي (სირ.) „უხეში“, „ცხოველური გულის“ قلبو أعمى (სირ./ლიბან) „გულქვა“, სიტყვასიტყვით: „ბრმა გულის“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge> შდრ. ქართ. „გულქვა“, „გულის გაქვავება“, „გულის გახევება“, „გული კი არა, ქვა უდევს მკერდში“.

წუხილი, დარდი, ტკივილი, სევდა: يأكل قلبه الأسى / يأكله حزن (القلب) „გულს დარდი უღრღნის“. სიტყვასიტყვით: „უჭამს“ (Борисов 2004: 910); روحه / حوى هذا قلبه (მვერი 2014: 84); انقبض قلبه „გული დაუმძიმდა“, „დამწუხრდა“, „გული შეეკუმშა“ (Фавзи... 1989: 435); القلب حزين „სევდიანი გულის“, قلبه يتمزق „გულზე სევდა მოაწვა“; إن الألم يعصر قلبه / روحه „ტკივილისაგან გული/სული ეკუმშება, ეფლითება“ (Баранов 1989: 518; Мвер 2014: 84), ظل قلبه „გული დაუბნელდა“ (Баранов 1989: 490), „გული უკვდება“ - ამავე მნიშვნელობით ხ. ბარანოვის არაბულ-რუსულ ლექსიკონშიც რამდენიმე გამოთქმა გვხვდება. ესენია: شرخ القلب, انفطر قلبه, تقطع القلب (Баранов 1989: 518, 398, 602). შდრ. ქართ.: „გულს დარდი უღრღნის“, „გული ეთუთქება“, „გული ტკივილით ეწურება“, „გულის დამანთვა“, „გულის დასერვა“, „გულის დაწვა“, „გული სტკივა“, „გულის ტირილი“, „გულზე დაწოლა“, „დამძიმებული გული“, „გულს მიჭამს“, „გული მოუკვდა“, „გულდაჩაგრული“, „გულშეწუხებული“, „გულის გალახვრა“, „გულის დასეტყვა“, „გულის დადაგვა“, „გული დაუბნელდა“, „გულზე ჯავრის დაწოლა“, „გულზე ნისლის შემოწოლა“, „გულზე მძიმე ლოდის დაწოლა“, „გულზე ლურსმნად დგომა“.

გრძნობათა მორევა, გულის აჩვილება, ტირილი: ندم القلب „გულის აცრემლება, ატირება“. بكي بقلبو (სირ., ლიბან.) „გულით ტირის“. შდრ. ქართ.: „გულის ამოჯდომა“, „გულის ამოსკვნა“, „გულის აჩვილება“, „გულის აჩუყება“.

ორპირობა / თვალთმაქცობა: كلام مليح وقلب قبيح „სიტყვები ტკბილია [აქვს], გული – მახინჯი“ (Кухарева 2005: 135); تضحك من سن بيضاء وتحتها قلب أسود „იციანის თეთრი კბილებიდან და ქვეშ შავ გულს მალავს (სიტყვასიტყვით: „ქვეშ შავი გულია“); بدن وافر وقلب كافر „სხეული დიდია და გული უწმინდური, უსუფთაო“, შდრ. ქართ.: „ლამაზი გარეგნობის პატრონს შეიძლება ბილწი გული ჰქონდესო“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მინაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>).

ენაჭარტალობა: ბრიყვ ადამიანზე, რომელსაც ენაზე არაფერი უჩერდება, ამბობენ:

„რაც გულში აქვს, ენაზე აკერია“ (Кухарева 2005: 135).
მიემართება ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია საიდუმლოს შენახვა.

შიში: سقط قلبه في رجليه / ركبتيه „გული ფეხებში (მუხლებში) ჩაუვარდა“; انخلع قلبه / هلع قلبه „გული ამოუვარდა [შიშისგან]“ (Баранов 1989: 574). قلبه غاص „ძალიან შეეშინდა“ (იქვე: 857, 234) შდრ. ქართ.: „შიშით გული გაუსკდა“, „გული წინდებში ჩაუვარდა“, „გული გაეპარა“, „გული გადაუტრიალდა“, „გული გადაუქანდა“.

გარდაცვალება: توقف عن الخفقان قلبه (Баранов 1989: 654) სიტყვასიტყვით: „მისი გულისცემა შეწყდა“.

გაბრაზება, გაბოროტება გაჯავრება, განრისხება: إن الدم يغلي في قلبي „სისხლი მიდუღს გულში“ (Борисов 2004: 911).

„მისი გული საესეა ბოროტებით“ (იქვე: 567) შდრ. ქართ.: „გულზე ცეცხლი მოეკიდა“, „გული აუდუღდა“, „გული გაუსივდა“, „გული აემღვრა“, „გული აენტო“, „გულადრენილი“, „გულგამწყრალი“, „გულის მოსვლა“, „გულზე შემონთება“...

ტკივილის მიყენება, ცუდად მოპყრობა: مزق قلبه „გული გაუხეთქა“, „დაუფლითა“, „დაუსერა“ „დაუკოდა“, أحرق قلبه „დიდი ტკივილი მიაყენა“ (Баранов 1989: 167). حز في قلبه „გულის ტკენა“, „სხვის გრძობებზე თამაში“ (Баранов 1989: 169; Mousa 2014: 443), يقطع نياط القلب „გული მოუკლა, გული ატკინა“ (იქვე: 443). შდრ. ქართ.: „გული მოუკლა“, „გული დაუკოდა“, „გულში ისარი გაუყარა“, „გული ატკინა“...

გულგატეხილობა, იმედგაცრუება, განწყობის შეცვლა, გულის აცრუება, დეპრესიაში ყოფნა: قلبه مكسور / قلبه كسر „გული გაუტყდა“ (Борисов 2004: 911), لا يرتاح قلبه له „ის (მისი გული) უკმაყოფილოა მისით“ (იქვე: 910). შდრ. ქართ.: „გულის ავარდნა“, „გულის გატეხა“.

აქვე წარმოვადგენთ რამდენიმე ანდაზას, რომელთა შემადგენლობაშიც შედის სიტყვა „გული“:

بعيد عن العين بعيد عن القلب „თვალს მოშორებული გულსაც დაშორდება“ (Шарбатов 1981: 729; Mousa 2014: 442). შდრ. ქართ.: „როგორც თვალი შორს, ისე გული შორსაო“, „თვალის შორსაო და გულის შორსაო“.

العين ترجمان القلب „თვალი გულის თარჯიმანია“, „თვალეები ადამიანის სარკეა“. შდრ. ქართ.: „თვალი გულის სარკეაო“ (Кухарева 2005: 135).

العين تنتظر و القلب تحزن / القلب رسول „გული ყველაფერს გრძნობსო“, „გული

მისანია“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <http://idioms.tsu.ge>).

„იცნობს გულს გული“ القلب للقلب رسول (იქვე).

ორივე ენაში დადასტურებულ გამოთქმებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ადამიანის ღრმა გრძნობები, იქნება ეს სიყვარული, მონატრება, სიხარული, თანაგრძნობა თუ სხვა, ძირითადად გულს, მის მოძრაობას უკავშირდება და ერთგვარად ჩამოყალიბებული შაბლონური ფორმებია. თუმცა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს უნივერსალური ადამიანური შეგრძნებები, რომლებსაც სხვადასხვა კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს და ხშირად თანხვედება სრულიად დაშორებულ და განსხვავებულ კულტურებში არსებულს.

გამოყენებული ლიტერატურა

სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.

ქართული ანდაზები 1959: ქართული ანდაზები. შეადგინა ა. კანდელაკმა. თბილისი, 1959.

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი: <http://idioms.tsu.ge>

ჩიქობავა 1938: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

Mousa 2014: Mousa Mahmoud Sami, A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic. Cairo, 2014.

Баранов 1989: Баранов Х.К., Арабско-русский словарь. Москва, 1989.

Борисов 2004: Борисов В., Русско-арабский словарь. Москва, 2004.

Кухарева 2005: Кухарева Е.В., Клише как отражение национального менталитета (На примерах арабских паремий). Москва, 2005.

Мвер 2014: Мвер Х. К., Фразеологизмы с компонентов душа в русском и арабском языках. <https://core.ac.uk/download/pdf/74334349.pdf>

Фавзи... 1989: Фавзи, А. М., Шкляров В. Т., Учебный русско-арабский фразеологический словарь. Москва, 1989

Шаба: Шаба И. К., Сравнительный анализ русских и арабских Фразеологических единиц (оборотов). <https://www.iasj.net/iasj/download/898a2fb8b5c270dc>

Шарбатов 1981: Шарбатов Г. Ш., Арабско-русский учебный словарь. Москва, 1981.